„სამოქალაქო ინიციატივა-სამართლიანი არჩევნები“

პროექტი: ქალი და პოლიტიკა

პროექტის მიზნები და ამოცანები

სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ მიერ 2017 წლის 31 მაისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში, საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა ა(ა)იპ „სამოქალაქო ინიციატივა-სამართლიანი არჩევნები“-ს პროექტი „ქალი და პოლიტიკა“,რომლის მიზანი გახლდათ საარჩევნო პროცესში გენდერული თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებით გენდერული თანასწორობის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობა და არჩევნებში ქალთა მონაწილეობის ზრდა. კერძოდ:

- ნაკლებად ინფორმირებული საზოგადოების ინფორმირება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გენდერული თანასწორობის კონცეფციის მნიშვნელობისა დაიმ პოზიტიური შედეგების შესახებ , რაც ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობას მოაქვს;
- სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების (ქართველი,სომეხი,რუსი და სხვ.) ქალი წარმომადგენლების მობილიზება საარჩევნო პროცესში ჩასართავად;
- საინფორმაციო, საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების მეშვეობით ქალთა ინფორმირებულობის გაზრდა საარჩევნო პროცესში მათი ჩართულობის მნიშვნელობაზე;
- არჩევნებში მონაწილეობის მსურველი ქალების მოტივაცია, უკეთესად მოახდინონ საკუთარი თავის პოპულარიზაცია ამომრჩევლის წინაშე;
- ქალების პოლიტიკური კულტურის ამაღლება და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა არჩევნებში.

”სამოქალაქო ინიციატივა-სამართლიანმა არჩევნებმა” მიზნად დაისახა ქალებისათვის საარჩევნო ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო კამპანიის ჩატარება ქ. თბილისში, ქვემო ქართლსა და კახეთში.

ასევე, ისეთი ადგილობრივი მაცხოვრებლების მოძიება, რომლებიც გამოირჩევიან აქტიურობითა და საარჩევნო პროცესებისადმი ჯანსაღი დამოკიდებულებით.

განხორციელებული აქტივობები

”სამოქალაქო ინიციატივა-სამართლიანმა არჩევნებმა” მიზნად დაისახა ქალებისათვის საარჩევნო ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო კამპანიის ჩატარება ქ. თბილისში, ქვემო ქართლსა და კახეთში.

ასევე, ისეთი ადგილობრივი მაცხოვრებლების მოძიება, რომლებიც გამოირჩევიან აქტიურობითა და საარჩევნო პროცესებისადმი ჯანსაღი დამოკიდებულებით.

აღსანიშნავია, რომ პროექტში ჩართვის სურვილის დაბალი აქტივობის მიუხედავად, რომელიც გამოვლინდა პროექტის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციით, პროექტით დაგეგმილი ძირითადი მიზნებისა და ამოცანების შესრულება გრაფიკის შესაბამისად განხორციელდა. მიღწეულ იქნა ყველა ის მიზანი, რაც ორგანიზაციას ჰქონდა დასახული. საზოგადოების წინასწარი ინფორმირებისათვის გატარდა სარეკლამო/საინფორმაციო ღონისძიებები სოციალური ქსელებით. ქალაქებსა თუ სოფლებში (ქ. თბილისი, ქვემო ქართლი, კახეთი) გავრცელდა საინფორმაციო მასალები (დარიგდა ბუკლეტები, კალენდრები და ბრენდირებული მაისურები, ასევე გაიკრა პლაკატები და სტიკერები) ჩატარდა ავტო ტური და შეხვედრები.

პროექტი განხორციელდა განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.ძირითადი მიზნებისა და ამოცანების ეფექტური განხორცილებისთვის პროექტი მოიცავდა რამოდენიმე ეტაპს:

- მოსამზადებელი ეტაპი;
- ავტო ტური;
- შეხვედრები;
- ტრენინგები.

ავტო-ტური 27 აგვისტოდან 06 სექტემბრის ჩათვლით ყოველდღიურად იმართებოდა და ვრცელდებოდა საინფორმაციო-სარეკლამო მასალები **თბილისი** (თემქის მიმდებარე ტერიტორია, საბჭოს მოედნის მიმდებარე ტერიტორია, რუსთაველის მიმდებარე ტერიტორია, ავლაბრის მიმდებარე ტერიტორია, სანზონის მიმდებარე ტერიტორია, ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორია, ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორია გლდანის მიმდებარე ტერიტორია); **მარნეული** (ყიზილაჯლო, საბირკენდი, ალგეთი); **გარდაბანი** (სოფ. განთიადი, სოფ. ყარაჯალარი, სოფ. გაჩიანი); **საგარეჯო** (სოფ. იორმუღალო); **თელავი** (სოფ. ყარაჯალა).

ორგანიზაციის თანამშრომლების მხრიდან სისტემატიურად ხორციელდებოდა **შეხვედრები** 2017 წლის 06 სექტემბრიდან - 17 სექტემბრის ჩათვლით. შეხვერდები განხორციელდა ისეთ ადგილებში სადაც მასიურად იმყოფებოდნენ ქალები. აღნიშნულ შეხვედრებზე მოსახლეობას მიეწოდებოდა ინფორმაცია პროექტის მიზნებზე, არჩევნების მნიშვნელობაზე, ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობაზე, გენდერულ თანასწორობაზე და იმ პოზიტიურ შედეგებზე, რომელიც ქალთა არჩევნებში მონაწილეობას და პოლიტიკაში აქტიურ ჩართულობას მოაქვს.

ორგანიზაციამ ქ. თბილისში სასტუმრო „ტიფლისი“**22.09.2017-23.09.2017 და 24.09.2017-25.09.2017** უზრუნველყო ორ დღიანი ტრენინგების განხორციელება. მსმენელთა შერჩევა/რეგისტრაცია მიმდინარეობდა სოციალური ქსელების, ავტო-ტურისა და შეხვედრების განხორცილების პროცესში შევსებული ანკეტების საშუალებით. ტრენინგზე დასწრების სურვილი გამოთქვა 47 მსურველმა. ჩამოყალიბდა მსმენელთა ორი ჯგუფი.
ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ სახელმძღვანელო/ბროშურა, ბლოკნოტი და კალმისტარი.
ტრენინგებში მონაწილეთათვის ტრენინგების ჩატარება თანამედროვე ინტერაქტიული სწავლების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, უზრულველყო მაღალკვალიფიციურმა ტრენერმა.

ტრენინგზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

- არჩევნები და დემოკრატია;
- საქართველოს სარჩევნო ისტორია;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები;
- კენჭისყრის დღე;
- ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა;
- ქალი და არჩევნები;
- ქალი და პოლიტიკა.

სატრენინგო თემების სრულყოფისა და უკეთესად გააზრებისთვის ტრენერის მიერ წინასწარ შემუშავებილი სავარჯიშოების შესაბამისად ტრენინგის მონაწილეები ჯგუფურად ასრულებდნენ დავალებებს და აწყობდნენ პრეზენტაციებს. ტრენინგის დასრულების შემდგომ მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები, ჩატარდა გამოკითხვა და მონაწილეებმა გააკეთეს შეფასება.



მიღწეული შედეგები

პროექტის განხორციელების შედეგად (ქ. თბილისი, ქვემო ქართლი და კახეთი) მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალთა ინფორმირებულობის დონე არჩევნების მნიშვნელობის, გენდერული თანასწორობისა და იმ შედეგებზე, რომელიც ქალთა ჩართულობას მოაქვს აქტიურ პოლიტიკაში

გაიზარდა სამიზნე ჯგუფის (ქალები) არჩევნებში მონაწილეობის მოტივაცია დამონაწილეებს საშუალება მისცა უკეთ გაეცნობიერებინათ ის სამოქალაქო პასუხისმგებლობა, რომელიც აკისრიათ ქვეყნის განვითარებისთვის.

პროექტის წარმატების ხარისხზე აგრეთვე მეტყველებს მონიტორინგისთვის სპეციალურად შემუშავებული მონაწილეთა შეფასების ფურცლები, რომელშიც ასახულია მონაწილეთა მიერ ტრენინგზე მიღებული ცოდნა, მათთვის საინტერესო ინფორმაცია და კმაყოფილების შედეგი.

ორგანიზაციას მიაჩნია, რომ პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგად განხორციელდა ქალების ინფორმირებულობა პოლიტკაში აქტიურ ჩართულობაზე და გენდერულ თანასწორობაზე.

აქტიური ქალები ქვეყნის განვითარებისათვის!

მადლობა ყურადღებისთვის